

სელნაწერთა ინსტიტუტის
მ ო ა მ ბ ე

v

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

მ თ ა მ ბ ე

v

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1963

ც. ჰუსტიკიძე

ტიმონინ „ქარანის“ ბანმართებისათვის

ნიკოდიმოსის სახელით ცნობილ აპოკრიფულ სახარებაში, რომლის უძველესი ნუსხა დაკულია 1020 წელს გადაწერილ სინას მთის № 78 ხელნაწერში, ორგან გვხვდება ტიმონინი „ქარანი“. იგი ნახმარია პილატესთან დაკავშირებით და აღნიშნავს მის თანამდებობას.

ნაწარმოების მიხედვით ებრაელებმა შესწიველეს პილატეს იესოს მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ და მოსთხოვეს, რომ დაებარებინა იგი და გაესამართლებინა. პილატემ მათ უპასუხა:

„და ვითარ შემძლებელ ვარ შე, ქარანი, განკითხვად მეუფისა?“ (267v)¹ ებრაელები არ მოეშენენ პილატეს და ისიც იძულებული გახდა გაეგზავნა თავისი პასენაკი იესოს მოსაყვანად. პასენაკმა თაყვანი-სცა იესოს, დაუფინა ოლარი და უთხრა:

„უფალო, ამას ზედა შემოდდე, რ' გხადის შენ ქარანი“ (267r)

მეორე ფრაზა იქვე კიდევ ორჯერაა ნახმარი, ორივეგან „ქარანი“ შეცვლილია „მსაჯულით“:

„უფალო, ამას ზედა შემოდდე, რამეთუ გხადის შენ მსაჯული“ (267v).

„უფალო, შემოვედ, რ' გხადის შენ მსაჯული“ (268r).

მსაჯულად იხსენიება პილატე ამავე ძეგლში რამდენიმე სხვა ადგილასაც:

„დადგეს წ'ე საყდართა მათ მსაჯული სათა“ (268v).

„ნუუკუე მსაჯულიცა მისი მოწაფე იყოა... არა კეისარმან დაადგინა ამას პატიესა ზედა?“ (272v).

საგულისხმოა, რომ ყველა ხელნაწერში, რომელთა მიხედვითაც ნიკოდიმოსის სახარების ტექსტი შევამოწმეთ (სულ 8 ხელნაწერია), ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს: „ქარანის“ შესატყვისად „ქარანი“ დასტურდება და „მსაჯულის“ შესატყვისად — „მსაჯული“.

„ქარანისა“ და მის სინონიმად ნახმარი „მსაჯულის“ შესატყვისად ნიკოდიმოსის სახარების ბერძნულ ტექსტში ყველგან ἡγεμῶν² გვხვდება, სომხურ ტექსტში კი — *խչխან*.³

¹ C. Thilo. Codex apocryphus Novi Testamenti, Lipsiae, 1832, გვ. 489—665.

² Քանգարան Հայկական ճին և նոր դպրոցի խոհ. Գնկառն գիրք նոր կտակարանաց. Վենետիկ, 1898. გვ. 313—345.

³ ხელნაწ. ინსტ. მოამბე, V.

ბერძნულ *ἡγεμᾶν*-ს შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. წინმავალი, ხელმძღვანელი, 2. ბელადი, ჯარის მეთაური, მზრძანებელი, მეთაური³. სომხური *խխան*-ის *ἡγεμᾶν*-ის მნიშვნელობით გამოყენება შესაძლებელია. მისი მნიშვნელობებია: თავადი, მფლობელი, უფროსი, ბატონი, მმართველი, მზრძანებელი⁴.

ამგვარად, ქართული ტექსტის მიხედვით „კარანი“ უღრის „მსაჯულს“, შესაბამისი ბერძნული და სომხური ტექსტების მიხედვით კი 'მეთაურს', 'მთავარს', 'ბელადს', 'წინამძღოლს', 'მმართველს' და ა. შ.

სადაური სიტყვაა „კარანი“ და რა მნიშვნელობა აქვს მას?

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში „კარანი“ განმარტებული აქვს როგორც „მოსაქმენი“.⁵ ეს განმარტება ზოგადი ხასიათისაა და „კარანის“ კონკრეტულ მნიშვნელობას ვერ გვიჩვენებს.

ტერმინი „კარანი“ ნიკოდიმოსის სახარების რამდენიმე სხვა ტერმინთან ერთად („ბუნი“, „ღრაუფი“, „პასენაკი“) განხილული აქვს ნ. მარს წერილში: *Армянские слова в грузинских деяниях Пилата*⁶.

აღნიშნულ სიტყვებს და მათ შორის „კარანსაც“ ნ. მარი მიიჩნევს სომხურად. ნ. მარის აზრით, „კარანში“ ჩვენ გვაქვს სომხური მიმღებობური ფორმა *-ან* დაბოლოებით ზმნისაგან *կარხმ* (=შემიძლია) და აღნიშნავს: ხელმწიფე, მფლობელი, თავადი. ნ. მარი პარალელს ავლებს სიტყვასთან *խխან* (იშხან), რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან *խხხმ* მიმღებობის მაწარმოებელი იმავე *-ან* სუფიქსით⁷.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *კარხმ* ნიშნავს: 'შემიძლია'. ძველი ქართულით: 'ჯელ-მეწიფების'. ამიტომ არისო, ამბობს ნ. მარი, რომ იოსებ არიმათიელის სახელით ცნობილ თხზულებაში „თხრობაჲ აღმწნებისათჳს ეკლესიისა, რი-იგი არს ლოდისა შნა ქალაქსა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ“ პილატეს მმართველობა „ჯელმწიფობა“-თი აღნიშნებაო.⁸

ამ ძეგლში პილატე მართლაც „ჯელმწიფედ“ იხსენიება, მისი მმართველობა კი „ჯელმწიფობათია“ აღნიშნული („ნივედ პილატეს ჯელმწიფისათანა და მოვითხოენ გუამი იჯასი“ (27,6—8); „მეცხრამეტესა წელსა ტიბერის კეისრისა ჰრომთა მეჯისასა... და ჯელმწიფობასა პილატე პონტიელისა ჰურიათა ზედა“ (26, 7—8)⁹.

³ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Д в о р е ц к и й, под редакцией С. И. С о б о л е в с к о г о, том I, Москва, 1958 г.

⁴ Армяно-русский словарь, составленный по лексикону, изданному в Венеции и умноженный вновь введенными словами Александром Х у д о б а ш е в ы м, часть первая, Москва, 1838 г.

⁵ ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928. როგორც ჩანს, საბას „კარანი“ მრავლობითის ფორმად აქვს მიჩნეული, ამიტომჲა, რომ მის განმარტებასაც მრავლობითში იძლევა: კარანი მოსაქმენი (3 ვზრა 8, 68).

⁶ Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического Общества, С.—Петербург, 1913, том XVII, გვ. 024—026.

⁷ იქვე, გვ. 026.

⁸ იქვე.

⁹ Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, II, С.—Петербург, 1900.

ამგვარად, თითქოს ყველაფერი ნათელია: ქართულში „კარანი“ ნასესხები სომხურიდან, მისი ამოსავალი მნიშვნელობაა: 'შემიძლია', 'ველ-მეწიფების', ხოლო შემოსულია როგორც ქ ე ლ მ წ ი ფ ე, მ ფ ლ ო ბ ე ლ ი, მ თ ა ვ ა რ ი. ეს მნიშვნელობა კარგად უდგება ბერძნული ἡγεμᾶν-ისა და სომხური իշխան-ის მნიშვნელობებსაც.

მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ ნ. მარისავე მოწმობით ჩვენამდე მოღწეულ სომხური ლიტერატურის ძეგლებში ეს სიტყვა არ დასტურდება.

ნ. მარი ასახელებს ერთადერთ წიგნს, სადაც *კარან* (კარანი) არის ნახმარი — *Գիրք թղթից*, რომელიც წარმოადგენს ძველი სომხური რელიგიური შინაარსის წერილების კრებულს. აქ *კარან* გვხვდება ერთ-ერთი თავადის *Գիգ*-ის ტიტულის შემადგენლობაში: *Դաշտկարան Գիգ* (დაშტის მპყრობელი გიგი). მაგრამ ძველ ხელნაწერებშიცა და მე-10 საუკუნის ისტორიკოს უხტანესთანაც (რომელიც იმოწმებს აღნიშნულ წერილებს) ეს სიტყვა ძალზე დამახინჯებულად უოფილა წარმოდგენილი (*Դաշտկարան* შეერთებული *Գիգ* -თან, *Դաշկարին* და სხვ.)¹⁰. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ აღრევე, ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის სომხურში, *კარან*-ის მნიშვნელობა უკვე გაბუნდოვნებულია.

საკვირველია, რომ ასეთი სურათი გვაქვს ძველ სომხურში იმ დროს, როდესაც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სიტყვა „კარანი“ არც თუ ისე იშვიათად გვხვდება.

საბას ლექსიკონში ამ სიტყვასთან წყაროდ მითითებულია 3 ეზრა 8,68 (=1 ეზრა 8,68), სადაც ვკითხულობთ:

„მისცეს წიგნი ბრძანებისა მის მეფისაჲ კარანთა მათ მეფისათა და მფლობელთა და სოფლის მპყრობელთა ასურეთისა“.

ბიბლიის ამ წიგნში „კარანი“ სხვა ადგილასაც დასტურდება:

„ფინიკელთა კარანი და მთავარი დარეჰ მეფესა გიკითხავთ“ (1 ეზრა 6,7).

სხვა მაგალითებია:

„კარანსა მას ფდ დაუკრდა ესევეთარი იგი მოთმინებაჲ“ (თეოდორეს წამება, H—341, გვ. 559).

„მიეცა ბრძანებაჲ მაქსიმიანესი ყნსა ქყნსა ევკატისასა, ყნთა მათ დედაქქთა ზა კარანთა“—წამებაჲ ვაროზისი (H—341, გვ. 559).

„დაჯდა კარანი იგი საყდართა ზედა საშჯელისათა“—(იქვე, გვ. 806).

„განრისხნა მერმე კარანი იგი და უბრძანა მათი საპყრობილეს მიყვანებაჲ“ (იქვე, გვ. 813).

„კარანმან ბრძანა მრავალთა სტრატოტთა მოსლვაჲ და სისრაჲ მათდა მიმართ“ (წამებაჲ კოზმან და დამიანეთაჲ, H—341, გვ. 431).

„მეფობასა დეოკლიტიანესსა და მაქსიმესსა, კარნობასა ლუსიაჲსსა ეგეას ქალაქსა კილიკიაჲსასა... გარდამოჯდა კარანი იგი ტაძარსა მას აღრიანესსა და ბრძანა“ (იქვე, გვ. 427)¹¹.

მაგალითების მოტანა კიდევ დიდი რაოდენობით შეიძლება.

ეზრას წინასწარმეტყველების ბერძნულ ტექსტში „კარანის“ შესატყვისად აღმოჩნდა ისევე ἡγεμᾶν და οὐχισμός, ხოლო ყველა აქ დამოწმებული ძეგლის სომხურ შესატყვისებში დასტურდება: *իշխան, գირბასკა, դատალირ*.

¹⁰ Записки... გვ. 026.

¹¹ ეს მაგალითები თავისი სომხური შესატყვისებით მოგვაწოდა პროფ. ილია აბულაძემ.

ბერძნული *οἰκισμός* (ბ რ) აღნიშნავს სახლის გამგებელს, ნმართველს პროკურატორს, საერთოდ გამგებელს, ნაცვალს,¹² სომხური *դիրბასյակ*—მოხელეს, კომისარს, სრულუფლებიანს, ნდობით აღჭურვილს,¹³ *գասաւոր* ნიშნავს მსაჯულს, ხოლო *բնակոր*—1, 'მძღაერს' (ე. ი. ტირანს) 'ძლიერ მთავარს' 'მეფეს'; 2. 'ძლიერს', 'მემძღეს', 'ფიცხელს'; 3. 'მოძალადეს'¹⁴.

ბერძნული და სომხური შესატყვისების მიხედვით „ქარანი“ აღნიშნული თანამდებობა ყველა ძეგლში თითქმის ერთი და იგივე არ არის, მაგრამ მათ შორის რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავებაც არ ჩანს. ყველა აქ მოტანილი მაგალითისათვის საერთოა ის, რომ „ქარანი“ დიდი თანამდებობის პირია, მეფისაგან დანიშნული და მეფესთან ახლო ურთიერთობაში მყოფი (...„მსაჯული—იგივე „ქარანი“— არა კეისარმან დაადგინა ამას პატივსა ზედა?“ „მისცეს წიგნი ბრძანებისა მის მეფისა ქარანთა მათ მეფისათა“, „ფინიკელთა ქარანნი... დარემ მეფესა გიკითხავთ“...). ზოგიერთი კონტექსტის მიხედვით „ქარანი“ ქალაქის თავად, ქალაქის მერად და წინამძღოლად ჩანს („მიეცა ბრძანება მაქსიმიანესი... ყთა მათ დ ე დ ა ქ ქ თ ა ზ ა ქ ა რ ა ნ თ ა“, „ქ ა რ ა ნ ო ბ ა ს ა ლუსიაჲსა ე გ ე ა ს ქალაქსა კილიკიაჲსასა“...).

„ქარანის“ „მსაჯულად“ მოხსენიება (რასაც ადგილი აქვს ჩვენს ზიერ ზემოთ დამოწმებულ თითქმის ყველა ძეგლში და, რაც ზომხურ შესაბამის ტექსტებშიც ვხვდებით) ამ მხრივ არაფერს ცვლის, რადგან ქალაქის თავი, ქალაქის მმართველი იმავე დროს ამ ქალაქის უმაღლესი მსაჯულიცაა. ამის ნიმუშებს ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლებშიც ვხვდებით. მაგ. „აბო თბილელის წამებაში“ თბილისის ამირა (თბილისის მმართველი) მსაჯულადაც იხსენიება; ამ ძეგლში ერთგან ვკითხულობთ: „მცირედ უწინარს-რე დღეთა ამათ შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამლ ქრისტისი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ამ ი რ ა დ ქ ა ლ ა ქ ს ა ტ ფ ი ლ ი ს ა“.¹⁵

მაშასადამე, ნ. მარისეული განმარტება, რომ „ქარანი“ აღნიშნავს ქელ-მ წ ი ფ ე ს, მ ფ ლ ო ბ ე ლ ს, თ ა ვ ა დ ს, სავსებით სწორია, მხოლოდ საეჭვოა ის, რომ ძველი სომხურიდან სესხებული სიტყვა ძველ ქართულში ასე ყოფილიყო გავრცელებული, ძველ სომხურში კი სრულიად გამქარალიყო. ეს განსაკუთრებით საეჭვოა იმიტომაც, რომ სომხურში ამ მიმღობის საწარმოებელი ზმნა *կარել* ძველი სომხურიდან მოყოლებული დღემდე ცოცხალი და ძალზე ხშირი ხმარების სიტყვაა.

შეიძლება ნ. მარის მოსაზრება ამ სიტყვის სადაურობაზე მაინც მისაღებად მიგვეჩნია, რომ ძველ ბერძნულში არ არსებობდეს იმავე ფორმისა და შინაარსის სიტყვა *ἀρχαῖος*, ბ, რაც მოდის *ἀρχα* სიტყვიდან = (თავს) და ნიშნავს: *начальник, предводитель, глава*¹⁶. ბერძნულიდან კი მისი სესხება ისევე კანონზომიერია, როგორც სომხურიდან.

აღსანიშნავია, რომ ბერძნული საქრისტიანო მწერლობის ძეგლებში ეს სიტყვა აღარ იხმარება. მისი ხმარება დადასტურებულია ჩვენს წელთაღრიც-

¹² Древнегреческо-русский словарь...

¹³ Армяно-русский словарь...

¹⁴ Սովին բառարան Հայկազնեան լեզուի, II տպագր. վեხნոսիկ, 1865.

¹⁵ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეი-შვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 63.

¹⁶ Древнегреческо-русский словарь...

ხვამდე ჰომეროსთან, ანაკრეონტთან, ქსენოფონტესთან¹⁷. მაგრამ ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, სრულიადაც არ უშლის ხელს იმას, რომ „კარანი“ ქართულში ბერძნულიდან შემოსულად მივიჩნიოთ. არც ის უნდა იყოს დაუჯერებელი, თუ ვიტყვით, რომ სესხება მოხდა სწორედ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ბერძნულ სამყაროსთან ქართველი ტომების იმდროინდელ კონტაქტზე რომ არაფერი ვთქვათ, ცნობილია, რომ ქსენოფონტე ბერძენი ჯარისკაცებით მონაწილეობას იღებდა კიროსის ლაშქრობაში არტაქსერქსეს წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის დროს მან თავის ჯართან ერთად გაიარა ქართველი ტომებით დასახლებული ტერიტორია (ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებით ამბებზე მან დიდძალი მასალაც დაგვიტოვა ისტორიულ თხზულებაში „ანაბაზისი“). გამო-რიცხული არ არის ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა სწორედ ამ ბერძენ ჯარის-კაცებს მოჰყვა თან როგორც სამხედრო ტერმინი.

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

О ЗНАЧЕНИИ ТЕРМИНА „КАРАНИ“

Р е з ю м е

В памятниках древнегрузинского языка нередко встречается термин „каран-и“. Этот термин означает: начальник, предводитель, глава. „Каран-и“ считали вошедшим в грузинский язык с армянского (Н. Марр), но в древнеармянском языке существование этого слова пока что не засвидетельствовано.

В древнегреческом языке до нашей эры употреблялось слово *κάρανος*, *ბ*, которое имело то же самое значение, что и грузинское „каран-и“.

Выясняется, что слово „каран-и“ в грузинский язык вошло с древнегреческого языка.

¹⁷ Древнегреческо-русский словарь...